

მესხეთს

იქნებ შენ არა, დრო ჩურჩულებს სიჩუმით სათქმელს...

იქნებ ტკივილმა ნეტარებით გაგიძლო დღემდის...

იქნება ქარი აქ ყველაფერს სახელებს არქმევს

სისხლის ყივილად ამომსკდარი რომ ერთვის ხერთვისს.

ბრძენი წარსულით მოჭედილი ზეცა შესძარი,

რადგან სამყაროს სულის ზიდვას დმერთი გავალებს...

ზარზმასთან სანთლად დანთებულხარ, როგორც ცისკარი

და მტკვარზე სიმწრის ცრემლით არჩევ მესხის ნაკვალევს.

იქნებ ჯვარივით მოკვეთილი გტკივა მარჯვენა,

და არ გასვენებს შენი უამის ასგზის დაყოფა...

რადგან ხანცდელად დაიბადე გადასარჩენად

და რუსთაველში განმეორდი უკვდავსაყოფად.